ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7098457

ნომერი: AR11042772

თარიღი : 18.06.2024

გაცემის თარიღი : 25.06.2024

გაცნობის თარიღი : 26.06.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ასპანიძე პ/ნ 35001120922
- ასპინძა ს. ნიჯგორი ვარძიის I ჩიხი N 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 18 ივნისის №AR11042772 განცხადებით მომართა შოთა ასპანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6610218 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6610218 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე №01.72.14.008.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი ,,ა" და ,,ბ") კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 11 აგვისტოდან 2025 წლის 11 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 11 ოქტომბრის №6705128 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6610218 ბრძანებაში სარეზოლუციო ნაწილთან დაკავშირებით. მათ შორის, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 11 აგვისტოდან 2025 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6610218 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა არასწორად არის მითითებული და უნდა განისაზღვროს 2023 წლის 11 აგვისტოდან 2025 წლის 11 ივლისის ჩათვლით.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით სამსახურის 2023 წლის 11 ოქტომბრის №6705128 ბრძანებით ერთხელ უკვე გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6610218 ბრძანებაში და განისაზღვრა 2023 წლის 11 აგვისტოდან 2025 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურის სამსახურის 2023 წლის 11 ოქტომბრის №6705128 ბრძანებით უკვე გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 11 აგვისტოს №6610218 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა ჩამოყალიბდა 2023 წლის 11 აგვისტოდან 2025 წლის 11 ივლისის ჩათვლით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის ხელმეორედ გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.